საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გენდერული სტატისტიკის სტრატეგია

2021–2023

მომზადებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გენდერული სტატისტიკის სტრატეგია

2021-2023

საქსტატი
www.geostat.ge

Norwegian Ministry of Foreign Affairs

UN WOMEN

სარჩევი

1. შესავალი 7

2. სიტუაციური ანალიზი 10

2.1. სტატისტიკის ეროვნული სისტემა გენდერული სტატისტიკის ჭრილში 10

2.2. საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2020-2023 13

2.3. გენდერულ სტატისტიკასთან დაკავშირებული სხვა პარამეტრები 14

2.4. მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების ნაციონალიზაცია, როგორც გენდერული სტატისტიკის გაფართოების საშუალება 15

2.5. დაინტერესებული მხარეების მიერ გენდერული სტატისტიკის მიმოხილვა 24

2.6. SWOT ანალიზი 25

3. ხედვა და მისია 26

4. სტრატეგიული მიზნები, ოპერაციული ამოცანები, მოქმედებები და შედეგები 27

5. ლოგიკური ჩარჩო 32

6. იმპლემენტაცია, მონიტორინგი და შეფასება 38

აბრევიატურები

CEDAW	საერთაშორისო კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
EDGE	მტკიცებულებები და მონაცემები გენდერული თანასწორობისთვის
GEC	გენდერული თანასწორობის საბჭო
MICS	მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა
NSDS	საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2020-2023
SGS	გენდერული სტატისტიკის სტრატეგია 2021-2023
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
SWOT	ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, შესაძლებლობები და საფრთხეები
TUS	დროის გამოყენების გამოკვლევა

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (შემდგომში-საქსტატი) გენდერული სტატისტიკის განვითარების 2021-2023 წლების სტრატეგიას და შესაბამის სამოქმედო გეგმას.

დოკუმენტის მიზანია საქსტატში განისაზღვროს გენდერული სტატისტიკის განვითარების ზოგადი ხედვა, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ და საერთაშორისო საჭიროებებს; პასუხობს პოლიტიკის შემუშავებისთვის საჭირო მონაცემებზე მოთხოვნას; განსაზღვრავს გენდერული სტატისტიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს; უზრუნველყოფს სტატისტიკური ღონისძიებების ჩატარების გონივრულობას და ფინანსური რესურსების განაწილებას; მოიცავს მონაცემების წარმოების პროცესის ყველა საფეხურს და შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს.

გენდერული სტატისტიკა განიმარტება როგორც სტატისტიკა, რომელიც ასახავს განსხვავებებს, დამოკიდებულებებს, გენდერულ როლებს და უთანასწორობებს ქალისა და მამაკაცის მდგომარეობის შესახებ ცხოვრების ყველა სფეროში.[1] ეს მიმართულება დაკავშირებულია სტატისტიკის ტრადიციულ სფეროსთან ქალებისა და მამაკაცების რეალური ცხოვრების შესახებ სტატისტიკური მონაცემების იდენტიფიცირების, წარმოების და გავრცელების კუთხით. სქესით დისაგრეგირებული მონაცემები წარმოადგენს ქალებისა და მამაკაცების შესახებ შეგროვებულ და ცალ-ცალკე წარმოდგენილ მონაცემებს.[2] ამრიგად ეს გენდერული სტატისტიკის კონცეპტუალიზაციის მხოლოდ ნაწილია. პეკინის სამოქმედო პლატფორმა (1995), კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი (2015) და მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs), ის ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტებია, რომლებიც გენდერული სტატისტიკის წარმოების და გამოყენების პოპულარიზაციას ახდენენ.

პეკინის სამოქმედო პლატფორმა (BPfA) განსაზღვრავს კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც უნდა განახორციელონ სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა იმისთვის, რომ მიაღწიონ მიზანს, რაც დაგეგმვისა და შეფასებისთვის სქესის მიხედვით დისაგრეგირებული მონაცემების წარმოებას გულისხმობს. ეს არის მონაცემები ქალისა და მამაკაცის როლზე და საზოგადოებაში ვალდებულებებზე. CEDAW ნათლად განსაზღვრავს გენდერს, როგორც დისკრიმინაციის საფუძველს და მის მიერ 1989 წელს მიღებულ ზოგად რეკომენდაციაში № 9 ადგენს „... [წევრმა სახელმწიფოებმა] უნდა გაატარონ ყველა ღონისძიება იმისთვის, რომ უზრუნველყონ სტატისტიკის ეროვნული სამსახურების მიერ კითხვარების ისე შემუშავება, რომ მონაცემების დისაგრეგაცია მოხდეს სქესის მიხედვით". 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგი წარმოადგენს მდგრადი პროგრესის გზამკვლევს, რომელიც არავის ტოვებს ყურადღების მიღმა. გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება დამოუკიდებელ მიზნადაა წარმოდგენილი (მიზანი 5), მაგრამ ის ასევე წარმოადგენს სხვა მიზნების ნაწილს. მაღალი ხარისხის გენდერული სტატისტიკის არსებობა და მისი წარმოების შესაძლებლობა კრიტიკული მნიშვნელობისაა მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის. მდგრადი განვითარების მიზნები გაეროს უწყებათაშორისმა საბჭომ და ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად, მონაცემთა დისაგრეგაციის ყოვლისმომცველი პრინციპის მნიშვნელობა შემოსავლის, სქესის, ასაკის, რასობრივი და ეთნიკური კუთვნილების,

1 გაერო (2006). მსოფლიო ქალები 2005: პროგრესი სტატისტიკაში. Series K, No. 17. Sales No. E.05.XVII.7

2 გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი: https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/methods-tools/sex-disaggregated-data

მიგრაციის სტატუსის, შეზღუდული შესაძლებლობების, გეოგრაფიული მდებარეობის და სხვა ასპექტების მიხედვით. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებებისა და პოლიტიკისთვის. საერთაშორისო და რეგიონული ინიციატივები მნიშვნელოვან ძალისხმევას ახდენენ გენდერულ მონაცემებზე მოთხოვნის ამაღლებისთვის, მათ შორის რამდენიმე ახლო კავშირშია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასა და მონიტორინგთან. ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის მდგრადი განვითარების მიზნების გენდერთან დაკავშირებული ინდიკატორები, რომლებსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია, უწყებათაშორისი საბჭო და ექსპერტთა ჯგუფი უწევენ რეკომენდაციას. ასევე, გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტისა (UNSD) და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მიერ რეკომენდებული გენდერული მაჩვენებლების მინიმალური ნუსხა.

საქართველოს მთავრობა ადამიანის უფლებათა და განვითარების ჩარჩო ხელშეკრულებების მონაწილე გახდა. მან შეიმუშავა ეროვნული სამოქმედო გეგმები და მათი პრაქტიკული აღსრულების მხარდამჭერი ჩარჩო დოკუმენტები. მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი ახდენს 231 უნიკალური გლობალური ინდიკატორიდან 199 ინდიკატორის ნაციონალიზებას, რომელთაგან 32 უკავშირდება ქალებს ან მოითხოვს სქესის ნიშნით დისაგრეგირებას. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2010 წელს მიღებული კანონი ,,გენდერული თანასწორობის შესახებ", რომელიც ადგენს ქალების და მამაკაცებისთვის თანაბარი უფლებების და შესაძლებლობების მიღწევისთვის საჭირო სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს. ამ კანონის მეხუთე მუხლის თანახმად („გენდერულ სფეროში სტატისტიკის წარმოება") გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში შეიტანება სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები[3].

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020[4] წარმოადგენს პოლიტიკის ძირითად დოკუმენტს გენდერული თანასწორობის კანონის აღსრულებისთვის. კონკრეტულად კი მისი მე-14 მიმართულება მიზნად ისახავს **„გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, ქალთა უფლებების დაცვას და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას და მისი შედეგების აღმოფხვრას"**. გენდერული სტატისტიკის წარმოება, ანალიზი და გამოყენება წარმოადგენს ეროვნული სამოქმედო გეგმების ნაწილს, რომელთაგან სამი გენდერულ სტატისტიკას ეხება, კერძოდ, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის გენდერული თანასწორობის ქვეთავი და მათთან დაკავშირებული პროგრეს ანგარიშები.

საქსტატმა საყურადღებო პროგრესს მიაღწია გენდერული სტატისტიკის წარმოების, გამოყენების და გავრცელების პროცესში, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ქვეყნის გენდერული ხედვის გაუმჯობესებას და გენდერულ თანასწორობაზე მეტი ძალისხმევის ფოკუსირებას. ეს დიდ წილად დაკავშირებულია გენდერული სტატისტიკის შემუშავების სტრუქტურასთან - ძირითადად კი საქსტატთან - სტატისტიკის ეროვნული სისტემის მთავარ ორგანოსთან. საქსტატი გენდერულ სტატისტიკას მნიშვნელოვან ყურადღებას 1999 წლიდან უთმობს და ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში". საქსტატისთვის გენდერული სტატისტიკის წარმოება და გავრცელება სცდება ტექნიკურ დავალებას და წარმოადგენს სოციალურ პასუხისმგებლობას. ბოლო დროის მიღწევებს შორისაა გენდერული სტატისტიკის პორტალის შექმნა, ასევე სხვადასხვა გამოკვლევების განხორციელება, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დროის გამოყენების გამოკვლევა, ქალთა მიმართ ძალადობის

3 https://matsne.gov.ge/ka/document/download/91624/8/ge/pdf
4 http://myrights.gov.ge/uploads/file-manager/Strategy2014-2020.pdf

ეროვნული გამოკვლევა, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS) - რომელთა მიზანს ქვეყანაში გენდერული სტატისტიკის მნიშვნელოვნად გაფართოება წარმოადგენს. საქსტატთან ერთად სტატისტიკის ეროვნულ სისტემაში შედიან გენდერული მონაცემების ადმინისტრაციული წყაროები, მათ შორის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო და სხვა უწყებები, რომლებიც საკუთარ სფეროში რეგულარულად აწარმოებენ სქესის მიხედვით დისაგრეგირებულ მონაცემებს. საქართველო ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევის წინაშე დგას გენდერული სტატისტიკის წარმოების და გამოყენების პროცესში, განსაკუთრებით კი გენდერული სტატისტიკის სტრატეგიული მიმართულებების და პრიორიტეტების განსაზღვრის კუთხით, სქესის მიხედვით დისაგრეგირებული მონაცემების გაფართოების, მათ შორის ადმინისტრაციული მონაცემების მწარმოებელთა ჩართულობის და ეროვნული საშუალო მაჩვენებლებს მიღმა დისაგრეგაციის საჭიროების, გენდერული მონაცემების მწარმოებელთა შორის კოორდინაციის მექანიზმის შემუშავების, გენდერული სტატისტიკის წარმოების და გამოყენების მიზნით ინსტიტუციური და ინდივიდუალური შესაძლებლობების გაზრდის კუთხით.

გენდერული სტატისტიკის სტრატეგიის მომზადების საფუძველს გენდერული სტატისტიკის უფრო მაღალ დონეზე აყვანა წარმოადგენს, რომელიც ყველა დანარჩენი საკითხების იდენტიფიცირების და მოგვარების საშუალებაა. გენდერული სტატისტიკის სტრატეგიის საფუძველია სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია 2020-2023, სადაც გენდერული სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესება მნიშვნელოვანი მიმართულებაა, განსაკუთრებით კი სტრატეგიულ მიზანში „1“, რომელიც ეხება მომხმარებლის საჭიროებებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას.

წინამდებარე გენდერული სტატისტიკის სტრატეგია შემუშავებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური მხარდაჭერით, ნორვეგიის სამეფოს საგარეო სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში. იგი ეფუძნება მდგრადი განვითარების ეროვნულ სტრატეგიას და მის ლოგიკურ ნაწილს, რომელიც საქართველოში გენდერული სტატისტიკის წარმოებას ეხება. გენდერული სტატისტიკის სტრატეგიის შემუშავებისას გაანალიზებულ იქნა გენდერული სტატისტიკის კოორდინაციის, წარმოების და გამოყენების წინაშე მდგარი გამოწვევები. სტრატეგიაში ასახულია 2018 წელს საქართველოში ჩატარებული გენდერული სტატისტიკის სისტემის შეფასების შედეგები, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელდა.

სტრატეგია შედგება შემდეგი თავებისგან: თავი 1 - შესავალი; თავი 2 - სიტუაციური ანალიზი; თავი 3 - ხედვა და მისია; თავი 4 - სტრატეგიული მიზნები, ოპერაციული ამოცანები, მოქმედებები და შედეგები; თავი 5 - ლოგიკური ჩარჩო; თავი 6 - იმპლემენტაცია, მონიტორინგი და შეფასება.

2. სიტუაციური ანალიზი

ამ თავში მიმოხილულია საქართველოში გენდერული სტატისტიკის წარმოების და გამოყენების სტატუსი. თავი იწყება სტატისტიკის ეროვნული სისტემის და ეროვნულ დონეზე არსებული დოკუმენტების მიმოხილვით, რომლებიც განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის პრიორიტეტულ სფეროებს, სადაც მონაცემები და სტატისტიკა მნიშვნელოვანია. შემდეგ ხდება 2030 დღის წესრიგის და მდგრადი განვითარების მიზნების, როგორც გენდერული სტატისტიკის გაფართოების საშუალებების მიმოხილვა, რომელსაც მოჰყვება გენდერული სტატისტიკის მიმართულებით პარტნიორი უწყებების მოკლე მიმოხილვა. ბოლოს ამ თავში წარმოდგენილია ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების (SWOT) და გენდერული სტატისტიკის ანალიზი.

2.1 სტატისტიკის ეროვნული სისტემა გენდერული სტატისტიკის ჭრილში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემა შედგება საქსტატის, საქართველოს ეროვნული ბანკის და ყველა იმ ადმინისტრაციული უწყებისგან, რომლებიც ოფიციალურ სტატისტიკას აწარმოებენ (საქართველოს კანონი ,,ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, მუხლი 3; პუნქტი „ე“). სხვა სამინისტროები და უწყებები მიიჩნევიან მხოლოდ ადმინისტრაციული მონაცემების მწარმოებლად და ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლისთვის მონაცემთა გამზიარებლებად.

სტატისტიკის ეროვნული სისტემის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი ,,ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“[5], რომელიც 2009 წელს არის მიღებული. საქსტატის ყოველდღიური საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს სტატისტიკური სამუშაოების წლიური პროგრამა, რომელშიც წარმოდგენილია ყველა ის მაჩვენებელი, რომელიც წლის განმავლობაში უნდა გამოქვეყნდეს და მათი გავრცელების თარიღები. გენდერული სტატისტიკა წლიურ პროგრამაში ცალკე სეგმენტად გამოყოფილი არ არის, არამედ ჩართულია სხვადასხვა სფეროებში, როგორიცაა დემოგრაფიული სტატისტიკა, სოციალური სტატისტიკა და ა.შ.

1999 წლიდან საქსტატმა გენდერული სტატისტიკა თავის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობად განსაზღვრა, რაც მის მიერ გავრცელებულ მონაცემებში აისახა. შედეგად მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რეგულარული გამოკვლევები, გენდერული ანალიტიკური ანგარიშები და სხვადასხვა სპეციალური გამოკვლევები უფრო მეტად პასუხობდა გენდერული სტატისტიკის მოთხოვნებს. მნიშვნელოვან მიღწევებს შორისაა:

1. მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

- „მტკიცებულებები და მონაცემები გენდერული თანასწორობისთვის“ (EDGE) პილოტური გამოკვლევა აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე, 2015
- ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული გამოკვლევა, 2017
- გენდერული სტატისტიკისთვის ორი ძალიან მნიშვნელოვანი ახალი გამოკვლევა: მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS, 2018) და დროის გამოყენების გამოკვლევა (TUS, 2020-2022)
- სამუშაო ძალის გამოკვლევის განახლება შრომის სტატისტიკოსების მე-19 საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის „შრომითი საქმიანობის, დასაქმებისა და არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის სტატისტიკის შესახებ“ სტანდარტების შესაბამისად.

5 https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf

2. მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

- პუბლიკაციის „ქალი და კაცი საქართველოში” გამოცემა
- მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის გენდერული ანალიზი
- გენდერული სტატისტიკის პორტალის შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის მონაცემებს ინფოგრაფიკებისა და მონაცემთა ინტერაქტიული ვიზუალიზაციის მეშვეობით[6].

3. მონაცემების გამოყენების გაუმჯობესება

- თანამშრომლების გადამზადება გენდერული სახელფასო სხვაობის საკითხებზე, რომელიც წარმოადგენს უფრო ფართო ინიციატივის, ქვეყანაში ქალის და მამაკაცის შრომის ანაზღაურებებს შორის სხვაობის გამოკვლევის ნაწილს.
- საქსტატის თანამშრომლების და ადმინისტრაციული მონაცემების მწარმოებელთა გადამზადება გენდერული სტატისტიკის საკითხებზე[7].
- გენდერული მონაცემების მომხმარებლების გადამზადება, როგორიცაა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, სამეცნიერო წრეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია და სხვები.

საქსტატი ასევე აქტიურად არის ჩართული მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესების საკითხებში. ამრიგად, ნათელი ხდება, რომ საქსტატის როლი და პოზიცია გენდერულ სტატისტიკასთან მიმართებით ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ამჟამად საქსტატი მოქმედებს არა მხოლოდ ტექნიკურ დონეზე, სქესის მიხედვით დისაგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების წარმოების და გავრცელების მიმართულებით, არამედ მომხმარებლებს აწვდის სტატისტიკას, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ეს განახლებული როლი ასევე ნაკარნახევია შეცვლილი მოთხოვნით, როგორც სამეცნიერო წრეების/არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე მთავრობის მხრიდან. კონკრეტულად კი გლობალური ვალდებულებების შედეგად მთავრობას სჭირდება უფრო მეტი, სქესის მიხედვით დისაგრეგირებული მონაცემები სხვადასხვა ანგარიშების და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების და მათში ამ მონაცემების ასახვის მიზნით, განსაკუთრებით კი მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევის გზაზე.

საბიუჯეტო რესურსების სიმცირის ფონზე, გენდერული სტატისტიკის წარმოების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია დონორების დახმარება და მათ მიერ დაფინანსებული პროექტები. წლების განმავლობაში არსებულ გამოწვევას წარმოადგენს გენდერული სტატისტიკის წარმოებისთვის ან გამოყენებისთვის კონკრეტული აქტივობების გაგრძელება დონორების დახმარების შეწყვეტის შემდეგ. ეს განსაკუთრებით ეხება ახალი გამოკვლევების დაწყებას, როგორიცაა დროის გამოყენების გამოკვლევა და ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული გამოკვლევა, რომელთა რეგულარული ჩატარება უნდა იყოს უზრუნველყოფილი საქსტატის შესაბამის წლიურ პროგრამებსა და წლიურ ბიუჯეტში ასახვის გზით; ასევე იმ უნარების გამოყენება, რომელსაც საქსტატის თანამშრომლები იძენენ დონორთა მიერ დაფინანსებული ტექნიკური მხარდაჭერის გზით. მაგალითად, როგორიცაა გენდერული სახელფასო სხვაობის გამოთვლა.

საქართველოში ადმინისტრაციული მონაცემების მწარმოებლები წარმოადგენენ მეორე მნიშვნელოვან რგოლს გენდერული სტატისტიკის წარმოების პროცესში. საქსტატს ზოგადად საკმაოდ კარგი იმიჯი აქვს, თუმცა, სხვადასხვანაირი მდგომარეობაა ადმინისტრაციულ წყაროებში. ხშირ შემთხვევაში ისინი საკმაოდ მრავალფეროვან მონაცემებს ფლობენ, რომელიც დისაგრეგირებულია სქესის მიხედვით და ადვილად ხელმისაწვდომია გავრცელების სხვადასხვა საშუალებით. ზოგიერთ შემთხვევაში უწყებები საკუთარ სფეროში აგროვებენ სქესის

6 http://gender.geostat.ge/gender/index.php?lang=ka

7 მაგალითად, https://www.geostat.ge/ka/single-news/1207/treningi-genderuli-statistikis-shesakheb

მიხედვით დისაგრეგირებულ მონაცემებს, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ საქსტატისთვის (რომელიც ამ მონაცემებს საკუთარ ფორმატში აქვეყნებს), ან სხვა უწყებებისთვისაც, მაგრამ მნიშვნელოვანი დაგვიანებით. უწყებები აღნიშნავენ, რომ დაგვიანების მიზეზი ძირითადად ადამიანური რესურსების ნაკლებობაა. ასევე სამუშაოებს აფერხებს ისეთი სისტემების არ არსებობა რაც შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა მონაცემები მიღებული იქნეს სწრაფად და მარტივად, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

ზოგადად საჭიროა დამატებითი ძალისხმევა გენდერული სტატისტიკის სამომავლო განვითარებისთვის. თემატურ დონეზე ეს მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა სიღარიბე, მიგრაცია, განათლება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, დროის გამოყენება და აუნაზღაურებელი შრომა, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა ჩართულობა, მიწის და ქონების ფლობა და კონტროლი, გენდერული დამოკიდებულებები და არაფორმალური ეკონომიკა. ამ საჭიროების ნაწილი დაკავშირებულია იმ ადმინისტრაციულ მონაცემებთან, რომელსაც სხვა სამინისტროები/უწყებები ამუშავებენ. განსაკუთრებით კი ისეთი მონაცემები, როგორიცაა ქალთა მიმართ ძალადობა, წარმოადგენს სერიოზულ დატვირთვას, რადგან ეს მონაცემები სხვადასხვა უწყებებიდან გროვდება და საჭიროა ამ მონაცემების შეგროვების და სტანდარტიზების მექანიზმის გაძლიერება და უნიფიცირება.

სქესით დისაგრეგირებული სხვა სახის მონაცემები უზრუნველყოფილია ბოლო დროს განხორციელებული და მიმდინარე გამოკვლევების შედეგად. ზოგიერთი მონაცემი აუცილებელია გასცდეს ეროვნულ დონეს და უნდა ასახავდეს მარგინალური ჯგუფების მდგომარეობას, რაც სწორედ წარმოადგენს პროგრამის „არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა“ მიზანს.[8] ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან მონაცემები და მტკიცებულებები გლობალურ დონეზე მიუთითებენ ქალთა და გოგონათა მიმართ ყოვლისმომცველ დისკრიმინაციაზე, რაც იწვევს გენდერულ სხვაობებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა სიღარიბე, სერვისების მისაწვდომობა, ქონების ფლობა და ძალადობის სხვადასხვა ფორმებზე დაქვემდებარება.[9] ამჟამად მონაცემები ძირითადად წარმოდგენილია როგორც საშუალო მაჩვენებელი, რომლის უკან იმალება გარკვეული ჯგუფების მოწყვლადობა და დისკრიმინაცია განპირობებული ეთნიკური კუთვნილებით, ასაკით, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსით, საცხოვრისით, მიგრაციის სტატუსით ასევე, როგორიცაა შემოსავლის განაწილება, რომელიც ხაზს უსვამს უთანასწორობას მატერიალური კეთილდღეობის და შესაძლებლობების კუთხით. გენდერული სტატისტიკის წარმოება და გავრცელება უმნიშვნელოვანესია დისკრიმინაციის სხვადასხვა ასპექტების გამოსავლენად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემა გლობალური შეფასების საგანი იყო 2019 წელს[10] იმ მიზნით, რომ მომხდარიყო მისი შესაბამისობის დადგენა სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტთან, კონკრეტულად კი ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსთან (ESCoP) და კონკრეტული სფეროებისთვის, ევროსტატის სტატისტიკური მოთხოვნების კრებულთან. შეფასებით დადგინდა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემა ადრე გამოთქმული რეკომენდაციების შესრულების შედეგად გარკვეულ სფეროებში ევროპულ და საერთაშორისო

8 იხილეთ OHCHR-ის “A human rights-based approach to data: Leaving no one behind in the 2030 Agenda for sustainable development.“

9 გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2018 წლის ანგარიში: “Turning promises into action: Gender equality in the 2030 Agenda for Sustainable Development” finds that 4 more women live on less than USD 1.90 a day for every 100 men; that 50 per cent of urban women and girls in developing countries live in conditions where they lack at least one of the following: access to clean water, improved sanitation facilities, durable housing, and sufficient living area; that 1 in 5 women under the age of 50 experienced physical and/or sexual violence by an intimate partner; that poor rural women depend on common pool resources and are especially affected by their depletion. ხელმისაწვდომია: https://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2018/sdg-report-gender-equality-in-the-2030-agenda-for-sustainable-development-2018-en.pdf?la=en&vs=4332

10 https://www.GEOSTAT.ge/media/24886/Global-Assessment-Georgia-2019.pdf

სტანდარტებს უფრო დაუახლოვდა. მართალია, შეფასებაში არ არის ნახსენები გენდერული სტატისტიკა, თუმცა აღნიშნულია სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა, სადაც ხდება გენდერული ანალიზი და სქესის მიხედვით მონაცემების დისაგრეგაცია.

საქართველოს სტატისტიკური შესაძლებლობები შეფასებული იყო მსოფლიო ბანკის მიერ და მას მიენიჭა 87.8 ქულა (100 შესაძლებლიდან), რაც აჭარბებს ევროპისა და ცენტრალური აზიის (ECA) რეგიონის ქვეყნების საშუალო შეფასებას (77.3). ამ შეფასებისას საქართველომ დაიმსახურა უმაღლესი ქულა და გადააჭარბა რეგიონის საშუალო მაჩვენებელს სამ სფეროში: მეთოდოლოგია (90), პირველადი მონაცემები (80) და სტატისტიკის შესაძლებლობების შეფასების პერიოდულობა და დროულობა (93.3). ღია მონაცემთა ნუსხის (ODIN) შეფასებით საქსტატმა 31-ე პოზიცია დაიკავა, რის შედეგად ის ევროპის ქვეყნების ოცეულში შევიდა და საუკეთესოა დასავლეთ აზიის რეგიონში.

სტატისტიკის ეროვნული სისტემის გენდერული პერსპექტივით შეფასება 2018 წელს განხორციელდა. შეფასებით დადგინდა, რომ საქართველოში გენდერული სტატისტიკის მზარდი საჭიროება არსებობს, რაც განსაკუთრებით გამოიხატა მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) და ინდიკატორების ნაციონალიზაციაში. დამატებით აღინიშნა, რომ გენდერული სტატისტიკის შესაფერისი სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო ქმნის შესაძლებლობებს შემდგომი განვითარებისთვის. ანგარიშში რეკომენდებული იყო გენდერული სტატისტიკის სტრატეგიის შემუშავება.

2.2 საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2020-2023

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია 2020-2023[11] დამტკიცებულია 2019 წელს. სტრატეგიით განსაზღვრულია სტატისტიკის ეროვნული სისტემის მიზანი – აწარმოოს და გაავრცელოს მაღალი ხარისხის, დროული და შესაბამისი ოფიციალური სტატისტიკა ეფექტური ფორმით მომხმარებელთა საჭიროების მიხედვით, ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და საჯარო ანგარიშვალდებულებისთვის. სტრატეგია იწყება სტატისტიკის ეროვნული სისტემის და შესაბამისი კანონმდებლობის მიმოხილვით, ასევე განხილულია ის სფეროები, სადაც სტატისტიკის ეროვნულ სისტემას აქვს მიღწევები და სადაც საჭიროებს დამატებით ძალისხმევას. სტრატეგია ნათლად მიუთითებს გენდერული სტატისტიკის მისაწვდომობის გაზრდის საჭიროებას საერთაშორისო დონეზე შესადარი ფორმით. სტრატეგიული მიზანი 1: მომხმარებლის საჭიროებებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკის წარმოება მიუთითებს გენდერულ სტატისტიკაზე. კონკრეტულად კი დოკუმენტი აღნიშნავს, რომ ახალი ინდიკატორები საჭიროა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ენერგეტიკა, მშენებლობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, კულტურა, სპორტი, არაფორმალური სექტორი, სოციალური დაცვა და ა.შ., რომელთა უმეტესობა საჭიროებს სქესით დისაგრეგირებულ სტატისტიკას. შემდეგ სტრატეგია ხაზგასმით აკავშირებს გენდერული სტატისტიკის საჭიროებას მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის პროცესთან საქართველოში (იხილეთ ნაწილი 2.4), მაგრამ SWOT (Strengths, weaknesses, opportunities and threats – ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები) ანალიზში კონკრეტულად არ არის მითითებული გენდერი, მიუხედავად იმისა, რომ გენდერი არაპირდაპირ და უპირატესად არის წარმოდგენილი „შესაძლებლობების“ ნაწილში. კონკრეტულად კი სტატისტიკის ეროვნული სისტემის შემდეგი შესაძლებლობები შეიძლება იყოს დაკავშირებული გენდერულ სტატისტიკასთან: ა) მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული სტატისტიკის გაუმჯობესება - რითაც დადგენილია სქესით დისაგრეგირება; ბ) დარგობრივი

11 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/659/sakartvelos-ofitsialuri-statistikis-erovnuli-sistemis-ganvitarebis-strategia-2020-2023

სტატისტიკა სამინისტროების მიერ მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის მხარდაჭერის მიზნით – ისეთი სამინისტროებისთვის, რომლებიც განაგებენ სოციალურ, დემოგრაფიულ, ჯანდაცვის და განათლების საკითხებს, სადაც გენდერული სტატისტიკის საჭიროება მაღალია; გ) ადმინისტრაციული მონაცემების შემდგომი გამოყენება - რომლის დიდი ნაწილი ღირებულია, თუ მოხდება მათი სქესით დისაგრეგირება; და დ) მოსახლეობის საყოველთაო აღწერის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარება – საიდანაც მიღებული მონაცემები მეტად ღირებული იქნება სქესით დისაგრეგაციის შემთხვევაში. ის ფაქტი, რომ სტრატეგიის „შესაძლებლობების“ ნაწილში გენდერული სტატისტიკა, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც არის წარმოდგენილი, ცხადყოფს, რომ საქართველოში არსებობს გენდერული სტატისტიკის წარმოებისთვის საჭირო სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის გაზრდის შესაძლებლობა, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს ამ სტრატეგიის შემუშავება.

2.3 გენდერულ სტატისტიკასთან დაკავშირებული სხვა პარამეტრები

საქართველომ მოახდინა წამყვანი საერთაშორისო კონვენციების რატიფიკაცია, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, ადგენენ და განსაზღვრავენ ქვეყანაში გენდერული სტატისტიკის შეგროვებას. ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტებს შორისაა: პეკინის სამოქმედო პლატფორმა (1995), კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი (2015) და მდგრადი განვითარების მიზნები. საერთაშორისო დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მიღება (2010). ამ კანონის მე-5 მუხლი ადგენს, რომ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ოფიციალური სტატისტიკური ანგარიშები მოიცავს სქესით დისაგრეგირებულ მონაცემებს. სხვა კანონები, რომელიც გენდერული სტატისტიკის მოთხოვნას აწესებს, არის კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, კანონი ,,ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ და კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.

ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნულმა სტრატეგიამ, როგორც პოლიტიკის წამყვანმა დოკუმენტმა, ხელი შეუწყო გენდერული თანასწორობის კანონის აღსრულებას. ამ დოკუმენტის მე-14 სტრატეგიული მიმართულება მიზნად ისახავს „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, ქალთა უფლებების დაცვას და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას“. გენდერული სტატისტიკის წარმოება, ანალიზი და გამოყენება არის ეროვნული სამოქმედო გეგმების ნაწილი, რომელსაც მოყვება ინდიკატორები და მიზნები[12] მათგან სამი ეხება გენდერულ სტატისტიკას.

პირველი, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სქესით დისაგრეგირებული მონაცემების შეგროვებას და ანალიზს, როგორც მნიშვნელოვან აქტივობას უსაფრთხოების სექტორში ქალთა კარიერული განვითარების ხელშეწყობის პროცესში.

მეორე, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნებს, რომლებიც ადგენს მონაცემთა მწარმოებელი უწყებებისთვის მონაცემების შეგროვებისთვის ერთიანი სტანდარტის შემუშავებას და „ქალთა მიმართ

12 ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგია და ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, ინდიკატორებით და ამოცანებით ხელმისაწვდომია http://myrights.gov.ge/ka/home.

და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ მონაცემთა ბაზის“ შექმნას, რომლის მდგომარეობაც გაუმჯობესდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის გაძლიერებით. სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია გაეროს ქალთა ორგანიზაციის სახელმძღვანელო მითითებებთან (2020).[13]

მესამე, საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის წარმოადგენს საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის აღსრულების გეგმას, რაც მე-12 მიზნით არის დადგენილი და მოიცავს შემდეგს: გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება, რომელიც ხაზს უსვამს სქესით დისაგრეგირებული მონაცემების მნიშვნელობას, როგორიცაა ქალთა უფლებების დაცვა; სტამბოლის კონვენციის და CEDAW-ის მონიტორინგი; სოფლად მცხოვრები ქალების, მიწის მესაკუთრე ქალების და მეწარმე ქალების საარსებო წყაროების დადგენა; განათლებაში ჰორიზონტალური და ვერტიკალური გენდერული სეგრეგირების ანალიზი; მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების ნაციონალიზაცია, როგორც გენდერული სტატისტიკის გაფართოების საშუალება.

2.4 მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების ნაციონალიზაცია, როგორც გენდერული სტატისტიკის გაფართოების საშუალება

წამყვანი საერთაშორისო და რეგიონული ინიციატივები, განსაკუთრებით კი გაეროს დოკუმენტები, განსაზღვრავს ეკონომიკის და განვითარების ინდიკატორებს, რომელთა სქესით დისაგრეგაციაა საჭირო. მსგავსი ინიციატივების საფუძველს ძირითადად წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნები. ყველაზე მნიშვნელოვან ინიციატივებს შორის არის გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული გენდერთან დაკავშირებული 54 ინდიკატორი[14], მდგრადი განვითარების მიზნების 80 გენდერული ინდიკატორი რეკომენდებული გაეროს უწყებათაშორისი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ[15], გაეროს სტატისტიკის განყოფილების (UNSD) გენდერული მონაცემების მინიმალური ნუსხა[16] და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მიერ რეკომენდებული გენდერული თანასწორობის ინდიკატორები[17].

საქართველოს მთავრობას აქვს მიღებული მდგრადი განვითარების 17-ვე მიზანი და ნაციონალიზებული ამოცანები და ინდიკატორები. ეს პროცესი იძლევა გენდერული ინდიკატორების და ამოცანების გადახედვის, განახლების და სრულყოფის საშუალებას. საქართველომ 231 უნიკალური გლობალური ინდიკატორიდან მოახდინა 199 ინდიკატორის ნაციონალიზაცია, მაგრამ გლობალურ მეთოდოლოგიაში მათი გათვალისწინება ჯერ კიდევ სადაოა. ამასთან დაკავშირებით კი ბოლო დროს ჩატარებული შედარებით ახალი სამი გამოკვლევა გაზრდის სქესით დისაგრეგირებული მონაცემების რაოდენობას. ეს გამოკვლევებია: მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS), ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული გამოკვლევა და დროის გამოყენების გამოკვლევა (მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2022 წელს).

საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი, რომლითაც მოახდინა გლობალური ინდიკატორების ნაციონალიზაცია და საბაზისო მონაცემების დადგენა. დოკუმენტით დადგენილი გენდერული ინდიკატორები მოცემულია ცხრილში 1. მდგრადი განვითარების 17 მიზანი მოიცავს 169 გლობალურ ამოცანას და 231

13 A Synthesis of Evidence on the Collection and Use of Administrative Data on Violence Against Women. Background Paper, New York, January 2020.

14 https://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2019/progress-on-the-sdgs-the-gender-snapshot-2019-two-page-spreads-en.pdf

15 https://unstats.un.org/unsd/demographic-social/gender/documents/14Mar2018_Gender_relevant_SDG_indicators_MB-HSS.pdf

16 https://genderstats.un.org/files/Minimum%20Set%20indicators%202018.11.1%20web.pdf

17 https://unece.org/DAM/stats/publications/2015/ECE_CES_37_WEB.pdf

გლობალურ ინდიკატორს, საიდანაც საქართველომ მოახდინა 91 და 199 ნაციონალიზაცია შესაბამისად (54% და 57%). ამ უკანასკნელის 24 ამოცანა და 32 ინდიკატორი ეხება სქესით დისაგრეგირებას ან კონკრეტულად უკავშირდება ქალებს. 32-დან სრულყოფილი სტატისტიკა ხელმისაწვდომია 24 ინდიკატორისთვის (75%). მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის ჩატარების და გამოქვეყნების შედეგად შესაძლებელი გახდა არაერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის წარმოება. ეს კი ცხადყოფს, რომ ერთ გამოკვლევასაც კი შეიძლება ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს გენდერული სტატისტიკისთვის. ინდიკატორების ეროვნული მიმოხილვა ცხადყოფს, რომ დამატებითი ძალისხმევაა საჭირო სქესით დისაგრეგირებული მონაცემების შესაგროვებლად.

ცხრილი 1 – მდგრადი განვითარების მიზნების გენდერულად მგრძნობიარე ინდიკატორების ხელმისაწვდომობა

გლობალური ამოცანა	გლობალური ინდიკატორი	ხელმისაწვდომობა	წყარო
1.2 2030 წლისთვის ნების-მიერი ფორმით სიღარიბეში მცხოვრები ყველა ასაკის მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების პროპორციული ოდენობის სულ მცირე განახევრება, ქვეყანაში დადგენილი განმარტებების შესაბამისად	1.2.1: სიღარიბის ეროვნულ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, სქესისა და ასაკის მიხედვით	ხელმისაწვდომია	საქსტატი
1.3 ყველა ადამიანისთვის განხორციელდეს შესაფერისი სოციალური დაცვის სისტემები და ზომები, მათ შორის მინიმალური ნორმები და 2030 წლისთვის მიღწეულ იქნეს ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების არსებითი დაფარვა	1.3.1: სოციალური დაცვის მინიმალური ნორმებით/ სისტემებით დაფარული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით; ბავშვების, უმუშევრების, ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ორსული ქალების, ახალშობილების, საწარმოო ტრავმების მსხვერპლებისა და ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების ხაზგასმით	ხელმისაწვდომია (საარსებო შემწეობის“ მიმღები პირები, მ. შ. ქალი, ბავშვი სოციალური პაკეტის მიმღები პირები, მ. შ. ქალი, ბავშვი პენსიის მიმღები პირები, მ. შ. ქალი)	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
1.4 2030 წლისთვის უზრუნველყოფილ იქნას, რომ ყველა მამაკაცსა და ქალს, განსაკუთრებით სიღარიბეში მყოფ და მოწყვლად პირებს, ჰქონდეთ თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებთან მიმართებაში, ასევე უზრუნველყოფილ იქნას საბაზისო მომსახურებებზე მათი ხელმისაწვდომობა - მიწისა და ქონების სხვა ფორმების მფლობელობასა და მართვაზე, მემკვიდრეობაზე, ბუნებრივ რესურსებზე, სათანადო უახლეს ტექნოლოგიებსა და ფინანსურ სერვისებზე, მათ შორის მიკროსაფინანსო მომსახურებაზე	1.4.2: იმ ზრდასრული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის და საკუთრების ტიპის მიხედვით, რომელსაც იურიდიულად დადასტურებული დოკუმენტაციით აქვს მიწის ქონის უფლება და დაცულად აღიქვამს ამ უფლებას	ხელმისაწვდომია	საქსტატი

2.3 2030 წლისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის და სურსათის მცირე მწარმოებლების, კერძოდ, ქალების, მკვიდრი მოსახლეობის, საოჯახო ფერმერების, მწყემსებისა და მეთევზეების შემოსავლების გაორმაგება, მათ შორის მიწაზე და სხვა პროდუქტიულ რესურსებზე და საშუალებებზე, ცოდნაზე, ფინანსურ მომსახურებაზე, ბაზრებსა და დამატებითი ღირებულების შექმნის და არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმების შესაძლებლობებზე უსაფრთხო და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მეშვეობით	2.3.2: სურსათის მცირე მწარმოებელთა საშუალო შემოსავალი სქესისა და ადგილობრივი მკვიდრის სტატუსის მიხედვით	არ არის ხელმისაწვდომი	
3.3 2030 წლისათვის შიდსის ეპიდემიის, ტუბერკულოზის, მალარიისა და აღმოცენებადი ტროპიკული დაავადებების აღმოფხვრა და ჰეპატიტთან, წყლით გადამდებ და სხვა ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა	3.3.1: აივ-ით ინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობა 1000 არაინფიცირებელ მოსახლეზე, სქესის, ასაკისა და რისკჯგუფების მიხედვით	ხელმისაწვდომია	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქსტატი.
3.7 2030 წლისთვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების, მათ შორის ოჯახის დაგეგმვის, ინფორმაციისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინტეგრირება ეროვნულ სტრატეგიებსა და პროგრამებში	3.7.1: რეპროდუქციული ასაკის (15-49 წლის) იმ ქალების პროპორციული ოდენობა, რომელთა ოჯახის დაგეგმვის საჭიროებები დაკმაყოფილებულია თანამედროვე მეთოდების მეშვეობით 3.7.2: მოზარდებს (10-14 წლის; 15-19 წლის) შორის შობადობის მაჩვენებელი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის 1000 ქალზე	ხელმისაწვდომია	საქსტატი

4.1 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის სრულად უფასო, თანასწორი და ხარისხიანი დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების უზრუნველყოფა, რაც მათ შესაბამის და ქმედით სასწავლო შედეგებს მოუტანს	4.1.1. სქესის მიხედვით ბავშვებისა და ახალგაზრდების პროპორციული ოდენობა:(ა)2/3 კლასებში;(ბ) დაწყებითი განათლების ბოლოს; და (გ) საბაზო განათლების ბოლოს, რომლებიც ფლობენ (i) კითხვისა და (ii) მათემატიკის მინიმალურ უნარებს	ხელმისაწვდომია	PISA გამოკვლევა
4.2 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის ადრეულ ასაკში განვითარების, ზრუნვისა და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა ისინი მზად იყვნენ დაწყებითი განათლებისათვის	4.2.1: 5 წლამდე ასაკის იმ ბავშვების პროპორციული ოდენობა, სქესის მიხედვით, რომელთა განვითარება, სწავლა და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა სწორი გზით მიდის 4.2.2 ორგანიზებულ სასწავლო პროცესში ბავშვების მონაწილეობის მაჩვენებელი, სქესის მიხედვით (ერთი წლით ადრე სკოლაში სწავლების დაწყების ოფიციალურ ასაკამდე)	ხელმისაწვდომია	საქსტატი (MICS)
4.3 2030 წლისთვის ყველა ქალისა და მამაკაცისათვის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ტექნიკური, პროფესიული და საშუალო და უმაღლესი განათლების, მათ შორის საუნივერსიტეტო განათლების, უზრუნველყოფა	4.3.1: ბოლო 12 თვის განმავლობაში ოფიციალურ და არაოფიციალურ განათლებასა და სწავლებაში ახალგაზრდებისა და ზრდასრული ადამიანების მონაწილეობის მაჩვენებელი, სქესის მიხედვით	ხელმისაწვდომია	საქსტატი, ადმინისტრაციული წყაროები
4.5 2030 წლისთვის განათლებაში უთანასწორობების აღმოფხვრა და მოწყვლადი ადამიანებისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, მკვიდრი მოსახლეობისა და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის განათლებისა და პროფესიული სწავლების ყველა დონეზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა	4.5.1: თანასწორობის მაჩვენებლები (ქალი/მამაკაცი, სოფლად/ქალაქში მცხოვრები, სიმდიდრის ყველაზე მაღალი/ყველა დაბალი კვინტილის მქონე და სხვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მქონე, მკვიდრი მოსახლეობა და კონფლიქტით დაზარალებული პირები, როდესაც ხელმისაწვდომი იქნება მონაცემები) ამ ჩამონათვალში მოცემული ყველა სასწავლო ინდიკატორისთვის, რომელთა კლასიფიცირება შესაძლებელია	ხელმისაწვდომია	საქსტატი, ადმინისტრაციული წყაროები

4.6 2030 წლისთვის ყველა ახალგაზრდის და ზრდასრული ადამია-ნების მნიშვნელოვანი რაოდენობის, როგორც ქალების, ისე მამაკაცების მიერ წერა-კითხვისა და არი-თმეტიკის ცოდნის მიღწევის უზრუნველყოფა	4.6.1: მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში, სქესის მიხედვით, იმ მოსახლეობის პროცენტული ოდენობა, რომელიც ფლობს (ა) წიგნიერებისა და (ბ) რაოდენობრივი წიგნიერების მინიმალურ ფუნქციურ უნარებს.	ხელმისაწვდომია ნაწილობრივ	საქსტატი (MICS, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა)
5.2 ყველა ქალისა და გოგონას მიმართ საჯარო და კერძო სფეროებში ძალა-დობის ყველა ფორმის, მათ შორის ტრეფიკინგის და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის, აღმოფხვრა	5.2.1: 15 წლის და უფრო მეტი ასაკის ქალებისა და გოგონების პროპორციული რაოდენობა ძალადობის ფორმისა და ასაკის მიხედ-ვით, რომელთაც ჰყოლიათ პარტნიორი და რომელთა მიმართ ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნი-ორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქო-ნდა ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას 5.2.2: 15 წლის და უფრო მეტი ასაკის იმ ქალებისა და გოგონების პროპორციული რაოდენობა ასაკის და ძალა-დობის ადგილის მიხედვით, რომელთა მიმართ არა ინტი-მური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონია სექსუალურ ძალადობას	ხელმისაწვდომია ნაწილობრივ	საქსტატი (ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული გამოკვლევა)
5.3 ყოველგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა, რო-გორიც არის ბავშვთა ქორ-წინება, ადრეულ ასაკში და იძულებით ქორწინება, ასევე ქალთა წინადაცვეთა	5.3.1: 20-24 წლის იმ ქალთა პროპორციული რაოდენობა, რომლებიც დაქორწინებუ-ლები იყვნენ ან კავშირში იმყოფებოდნენ 15 და 18 წლის ასაკამდე	ხელმისაწვდომია	საქსტატი (MICS)
5.5 პოლიტიკურ, ეკონო-მიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეო-ბისა და გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანა-სწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა	5.5.1 პარლამენტში და ადგი-ლობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა 5.5.2 ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების პროპორციული ოდენობა	ხელმისაწვდომია	ადმინისტრაციული წყაროები, საქსტატი

5.6. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე და რეპროდუქციულ უფლებებზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფა, მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის შეთანხმებული სამოქმედო პროგრამით და პეკინის სამოქმედო პლატფორმით, ასევე მათი გადასინჯვის მიზნით გამართული კონფერენციების დასკვნითი დოკუმენტებით	5.6.1: 15-49 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, ვინც სექსუალურ ურთიერთობებთან, კონტრაცეპტივების გამოყენებასთან და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, საკუთარ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებს	ხელმისაწვდომია	საქსტატი (MICS)
5.ა. რეფორმების გატარება იმ მიზნით, რომ ქალებს მიენიჭოთ მამაკაცების თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებზე. ასევე, წვდომა მიწისა და სხვა ფორმის ქონების, ფინანსური სერვისების, მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების ფლობაზე და კონტროლზე, ეროვნული კანონების შესაბამისად	5.ა.1. ა) სოფლად მცხოვრები იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით, რომელსაც აქვს საკუთრების ან გარანტირებული უფლებები სასოფლო-სამეურნეო მიწაზე. ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების ან გარანტირებული უფლების მქონე მოსახლეობას შორის ქალთა წილი	ხელმისაწვდომია	საქსტატი
5.ბ. მოწინავე ტექნოლოგიების, კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება ქალთა გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით	5.ბ.1: იმ ადამიანების პროპორციული რაოდენობა, ვინც ფლობს მობილურ ტელეფონს, სქესის მიხედვით	ხელმისაწვდომია	საქსტატი
8.5. 2030 წლისთვის ყველა ქალისა და მამაკაცისათვის, მათ შორის ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, სრული და პროდუქტიული დასაქმების და ღირსეული სამუშაოს, ასევე თანასწორი ღირებულების სამუშაოსთვის თანასწორი ანაზღაურების მიღწევა	8.5.1: დასაქმებული ქალებისა და მამაკაცების საშუალო საათობრივი შემოსავალი, სამუშაოს, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიხედვით 8.5.2: უმუშევრობის დონის მაჩვენებელი, სქესის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიხედვით	ხელმისაწვდომია	საქსტატი

8.7. დაუყოვნებელი და ქმედითი ზომების განხორციელება იძულებითი შრომის აღმოფხვრის, მონობის თანამედროვე ფორმებისადა ადამიანებით ტრეფიკინგის დასრულების, ბავშვთა შრომის ყველაზე უარესი ფორმების, მათ შორის ჯარისკაცი ბავშვების დაქირავებისა და გამოყენების აკრძალვისა და აღკვეთის მიზნით; ხოლო 2025 წლისთვის ბავშვთა შრომის ყველა ფორმის აღმოფხვრა დასრულება	8.7.1: 5-17 წლის იმ ბავშვების პროპორციული ოდენობა და რაოდენობა, რომლებიც ჩართულები არიან ბავშვთა შრომაში, სქესისა და ასაკის მიხედვით	არ არის ხელმისაწვდომი	
8.8. შრომითი უფლებების დაცვა და უსაფრთხო და დაცული შრომითი გარემოს შექმნა ყველა მომუშავე პირისთვის, მათ შორის მიგრანტი მუშაკებისთვის, განსაკუთრებით კი მიგრანტი ქალებისა და არასაიმედოდ დასაქმებულებისათვის	8.8.1: სასიკვდილო და არასასიკვდილო საწარმოო ტრავმების სიხშირის მაჩვენებელი, სქესისა და მიგრანტის სტატუსის მიხედვით	ხელმისაწვდომია	ადმინისტრაციული წყარო
10.2 2030 წლისთვის ყველა ადამიანის გაძლიერება და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობა, მიუხედავად ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობების, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან ეკონომიკური თუ სხვა სტატუსისა	10.2.1: მედიანური შემოსავლის 50 პროცენტზე ქვემოთ მცხოვრები ადამიანების პროპორციული ოდენობა, სქესის, ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიხედვით	ხელმისაწვდომია	საქსტატი
16.1 ძალადობის ყველა ფორმისა და ამ მიზეზით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება ყველგან	16.1.1: განზრახ მკვლელობის მსხვერპლთა რაოდენობა 100,000 ადამიანზე, სქესისა და ასაკის მიხედვით 16.1.1.2: კონფლიქტის შედეგად დამდგარი სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობა 100,000 ადამიანზე, სქესის, ასაკისა და სიკვდილის მიზეზის მიხედვით	ხელმისაწვდომია ნაწილობრივ	შსს, გენერალური პროკურატურა

16.2 ბავშვთა სასტიკი მოპყრობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ყველა სახის ძალადობის ფორმისა და წამების აღმოფხვრა	16.2.2: : ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა 100,000 ადამიანზე, სქესის, ასაკის და ექსპლუატაციის ფორმის მიხედვით 16.2.3: 18-29 წლის იმ ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების პროპორციული ოდენობა, ვისაც 18 წლის ასაკამდე სქესობრივი ძალადობა განუცდია	ხელმისაწვდომია ნაწილობრივ	შსს, საქსტატი (ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული გამოკვლევა)
16.7 ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა	16.7.1: საჯარო დაწესებულებებში (ეროვნულ და ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში, საჯარო სამსახურში და მართლმსაჯულების სისტემაში) პოზიციების პროპორციები (სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით) ეროვნულ საერთო განაწილებებთან შედარებით	ხელმისაწვდომია ნაწილობრივ	ადმინისტრაციული წყაროები, საქსტატი
	16.7.2: იმ მოსახლეობის წილი, რომელსაც მიაჩნია, რომ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი ინკლუზიური და სწრაფი რეაგირების უნარის მქონეა, სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობისა და მოსახლეობის ჯგუფის მიხედვით	არ არის ხელმისაწვდომი	

2.5 დაინტერესებული მხარეების მიერ გენდერული სტატისტიკის მიმოხილვა

საქართველოში გენდერული სტატისტიკით დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ: საქსტატი, ადმინისტრაციული მონაცემების მწარმოებლები, მომხმარებლები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ასევე მხარს უჭერენ ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას, გამოყენებას და გავრცელებას.

როგორც 2.1 თავშია აღნიშნული, საქსტატის როლი გენდერული სტატისტიკის წარმოებაში და გავრცელებაში წლების განმავლობაში ვითარდება. ცხადია, რომ ეს ხანგრძლივი პროცესია და დიდი ძალისხმევაა საჭირო გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესებისთვის.

ზოგადად, ადმინისტრაციული მონაცემების მწარმოებლებს ნაყოფიერი ურთიერთობა აქვთ საქსტატთან და რეგულარულად უგზავნიან მას წინასწარ შეთანხმებულ სქესით დისაგრეგირებულ ინდიკატორებს. ადმინისტრაციული მონაცემების მწარმოებელთა უმეტესობას გამოყოფილი ჰყავს სტატისტიკაზე პასუხისმგებელი პირი, ან ამ როლს ასრულებენ მცირე ზომის განყოფილებები. მონაცემთა ხარისხის და მათი გაცვლის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით გენდერული მონაცემების მწარმოებლებს სასარგებლოდ მიაჩნიათ ინკლუზიური და რეგულარული ტრენინგები გენდერული სტატისტიკის წარმოების და გამოყენების შესახებ, რომლებსაც საქსტატი პერიოდულად ატარებს. მიზნაშეწონილია, რომ ასეთი შეხვედრები და ტრენინგები პერმანენტულად მიმდინარეობდეს.

გენდერული სტატისტიკის მონაცემების მომხმარებლები: სამთავრობო დაწესებულებები, პარლამენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები, კვლევითი ცენტრები, მეცნიერები, მედია და სხვა - იწონებენ ბოლო წლებში საქსტატის ძალისხმევას გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესების მიმართულებით. ამავე დროს, მომხმარებლებთან წარმოებული დიალოგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი მხრიდან ახალ მონაცემებზე მოთხოვნის დასადგენად. დონორ ორგანიზაციებთან (ახალი გამოკვლევების დაფინანსება) და ადმინისტრაციულ წყაროებთან თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელია მათ განემარტოს თუ რომელი ინდიკატორი როდის იქნება ხელმისაწვდომი. მომხმარებლები მიუთითებენ მონაცემების დამატებითი გაუმჯობესების აუცილებლობაზე. მათი აზრით, საქსტატის მიერ წარმოებული გამოკვლევები უნდა განხორციელდეს მათი გენდერული პერსპექტივის გამოყენების ჭრილში. ასევე, მომხმარებლებს მიაჩნიათ, რომ ადმინისტრაციული მწარმოებლების მიერ სქესით დისაგრეგირებული მონაცემები უნდა შეგროვდეს ისეთი ფორმით,რომ იძლეოდეს მათი ადვილად გაზიარების საშუალებას. სასურველია, მონაცემთა ბაზები გახდეს ელექტრონული.

